ოქმი N 6

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

17 აპრილი 2024 წელი

ქ. ხობი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. გივი ლატარია
4. აკაკი ხურცილავა
5. მზია ლემონჯარია
6. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

ანგარიშის განხილვას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. მამუკა ქარდავა -საკრებულოს თავმჯდომარე პირველი მოადგილე;
2. ნუგზარ შუშანია-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვლადიმერ ქანთარია - საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე.
4. ლევან ლიპარტია - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

მოწვევით ესწრებოდნენ:

1. ზვიად ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 1 აპრილის N 50-5024092102 წერილის განხილვა
   - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 1 აპრილის N 50-5024092102 წერილის განხილვა
   - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

   (მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და სამსახურის უფროსს სთხოვა წარედგინა აღნიშნული ანგარიში.

ზ. ბუკია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა - განმარტა, რომ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: საქმისწარმოების განყოფილება, საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. მან წარმოადგინა თითოეული განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. (ანგარიში ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კომისიის თავმჯდომარემ მ. თათარიშვილმა განმარტა, რომ კომისიის მიერ უნდა მოხდეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება. საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს, როგორც არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი ან დადებითი. კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

არადამაკმაყოფილებელი - 0;

დამაკმაყოფილებელი - 0;

დადებითი - 6;

დადგინდეს : ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი